საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/27

ქ.თბილისი

„12" დეკემბერი 2016 წ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის ორგანიზაციული ცვლილებების პროცესში პერსონალური და პროფესიული საიდუმლოების შემცველ დოკუმენტაციაზე მუშაობის შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მე–5 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^1 და 27^3, მუხლებისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე" კომისიის დადგენილების მე-19 მუხლის მე–8 და მე–9 პუნქტების, ასევე „კომისიის აპარატში მიმდინარე ორგანიზაციულ ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების" შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. კომისიის აპარატის ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელების პროცესში პერსონალური და პროფესიული საიდუმლოების შემცველ დოკუმენტაციზე დაშვებულ იქნან საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") აპარატში დასაქმებული შემდეგი უფლებამოსილი პირები:
ა) თამარ ბოკუჩავა – კომისიის კონსულტანტი რეორგანიზაციის საკითხებში;
ბ) თამარ ჭელიძე – კომისიის კონსულტანტი რეორგანიზაციის სამართლებრივ საკითხებში;
გ) იოსებ ხარებავა – კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი;
დ) სერგო შავგულიძე – კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის უფროსი;
ე) ივანე მახარაძე – კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის უფროსი;
ვ) რატი სხირტლაძე – კომისიის აპარატის ინფორმაციულ–ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი;
ზ) დავით გოგიჩაიშვილი – კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსის მ.შ.;
თ) ირინა ვერძეული – კომისიის აპარატის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მ.შ.;
ი) ნათია ჯანელიძე – კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.

2. კომისიის აპარატის ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელების პროცესში კომისიაში შემოსული ან კომისიაში დაცული პერსონალური და პროფესიული საიდუმლოების შემცველი დოკუმენტაციის საქმისწარმოება დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს იოსებ ხარებავას.
3. ეს ბრძანება გამოქვეყნდეს კომისიის ოფიციალურ გვერდზე, საჯარო გაცნობისათვის, ხელმოწერისთანავე;
4. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ნ. ჯანელიძე);
ა) მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, დასაქმებულთან გასაუბრების აუდიო ჩაწერის უზრუნველყოფა;
ბ) ამ ბრძანების კომისიის აპარატში დასაქმებულთა და კომისიის კონსულტანტებისთვის გაცნობა, მისი ასლის გადაცემის გზით;
5. ბრძანება ძალაშია კომისიის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. N6) გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.
7. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტს (ი. ხარებავა).

კომისიის თავმჯდომარე **ვახტანგ აბაშიძე**

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge